პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
პარასკევი
3 ივლისი
№ 154 (18096)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ალაოობის ყოველი საათი ძვირად ფასობს

ეს დღეები შირაქში

ფლეულს წითელწყაროს რაიონში კარგად მომზადებულმა ტექნიკამ გადაწყვიტა საგაზაფხულო კულტურების დროულად თესვის ბედი. ზოგიერთი კულტურა გაცილებით მეტ ფართობზე დაითესა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მაგალითად, სიმინდი 500-ის ნაცვლად დაითესა 583 ჰექტარი, მზესუმზირა—7.000 ჰექტარი, ლობიო — 122, კარტოფილი — 21 ჰექტარი და ბოსტნეული — 65 ჰექტარი. 2.500 ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია პირუტყვის საკვებ კულტურებს, ერთწლოვან და მრავალწლოვან ბალახებს, ძირხვენებს.

აგროტექნიკის დაცვისა და უხვი ნალექების გამო ჩინებული პირი უჩანს საგაზაფხულო კულტურების — სიმინდის, მზესუმზირას მოსავალს. ფარცხვის შემდეგ განხორციელდა კულტივაცია, კულტივაციას მოჰყვება თოხნა. შეჯიბრებაში ჩაბმული სატრაქტორო ბრიგადები, მექანიზატორები, მემინდვრეები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, უქმად არ კარგავდნენ არც ერთ საათს, არც ერთ წუთს.

ნათესების დამუშავება ყველაზე ადრე იმ ბრიგადამ დაამთავრა, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მელიქიშვილი ხელმძღვანელობს. ახლა ამ ბრიგადის მექანიზატორები მ. ლალიაშვილი და ს. სუნტაძე ქერის მოსავალს იღებენ. ჰექტარზე საშუალოდ 25-30 ცენტნერ მარცვალს ღებულობენ.

შემოდგომა-ზამთრის მშრალმა ამინდებმა ერთგვარ განსაცდელში ჩააგდო საშემოდგომო თივთივანი მარცვლეული კულტურების ნათესები, რომელთაც 21.500 ჰექტარი უკავია. შირაქელმა მხვნელ-მთესველებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა გადაერჩინათ ჯეჯილი მღრღნელების, ბუგრის, ჰურის ბზუალასაგან და გადაარჩინეს კიდეც.

ვენახს შირაქში, ტარიბანასა და ზილიჩაში 9.500 ჰექტარი უკავია, ნიადაგი მთლიანად დამუშავებულია, მორწყულია 3.360 ჰექტარი, შპალერზე გადაყვანილია 1.100 ჰექტარი ახალშენი ვაზი, 8.500 ჰექტარზე განხორციელდა კულტივაცია, თოხნა, ვაზის ფეხჩვენა და ახვევა.

ქერის მკას ალაზნის ველზე პირველნი შეუდგნენ სოფელ სამთლოს კოლმეურნეობის მექანიზატორები. მოსავლის აღებაზე მუშაობს სამი აგრეგატი. მკას თან სდევს ნაწვერალის ნარჩენებისაგან გაწმენდა, სანაწვერალო ხვნა, თესვა.

ქერს მკიან ავრეოვე სოფელ ჯაფარიძის, არხილოსკალოს კოლმეურნეობები. ისინი ამზადებენ ნამჯას, თივას. მარტო ჯაფარიძის კოლმეურნეობა ყოველდღიურად 30 ტონა თივას, 100 ტონაზე მეტ ნამჯას აგროვებს. მათვე შეასრულეს სენაჟის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 4.700 ტონა.

ქვემოქედელთა ინიციატივას რაიონის ყველა კოლმეურნეობამ დაუჭირა მხარი. ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება ამ საქმეში. მუშაობის კარგი ორგანიზაციით, სწრაფი ტემპით გამოირჩევიან ქვემო ქედის, ზემო ქედის, ჯაფარიძის, ზემო მაჩხაანისა და არხილოსკალოს კოლმეურნეობები.

ვალდებულებით ნაკისრი 50.000 ტონიდან რაიონში უკვე დამზადებულია 40.000 ტონა სენაჟი, 450 ტონა თივის ფხვნილი. ეს ძვირფასი საკვები მარშანდელზე მეტი დამზადეს წითელწყაროს ორჯონიკიძის და არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვები, კვლავ და კვლავ საკვები!

საქართველოს მთა-ბარში ბალახი ბიბინებს. საკვებმომპოვებლები კარგა ხანია თიბვას შეუდგნენ, მაგრამ ფურაჟის დამზადების შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს ჯერჯერობით ვერ გაუსწრეს. გასულ წელთან შედარებით 15.000 ჰექტარით ნაკლები ბუნებრივი და ნათესი ბალახებია გათიბული.

ამის მიზეზი აქა-იქ უამინდობაა, მაგრამ ბევრ რაიონში ამ რთულ პირობებშიც იყოჩალეს, სტიქიას თავისი არ გაატანინეს და ტექნიკის ეფექტიანი გამოყენებით საკვების წარმოების საქმე შარშანდელზე უკეთ წარმართეს.

წითელწყაროს, წალენჯიხის, ლაგოდეხის, მახარაძის, ჩხოროწყუს რაიონებმა, სადაც ტექნიკას უნარიანად იყენებენ და საკვებდამამზადებლებს ნებისმიერ ამინდში დამკვრელური შრომისათვის სპეციალურ პირობებს უქმნიან, ჯერ კიდევ ივნისის პირველ დეკადაში მნიშვნელოვნად გადაამეტეს სენაჟის ჩადების შარშანდელ მაჩვენებლებს და მას შემდეგ ნაკისრი გადიდებული ვალდებულებების რეალიზაციისათვის იბრძვიან.

ასეთი მაგალითები ცოტა როდია. ფურაჟს ჩქარი ტემპით იმარაგებენ გარდაბნელები, სადაც გასულ ერთ კვირაში 18.676 ტონა უხეში საკვები დაბინავეს. ამაში მათ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შრომის ანაზღაურების პროგრესულმა აკორდულ-პრემიულმა სისტემამ, რომლის მიხედვით საკვებმომპოვებლებს საგაზაფხულო კამპანიიდან ალოობის ბოლომდე სამუშაოთა ამა თუ იმ ციკლის დამთავრების შემდეგ ყოველი ზეგეგმითი ტონა მოთიბული ბალახის და დაზვინული თივისათვის შრომის ანაზღაურების დამატებით წახალისება-პრემია ეძლევათ, გამოიყოფათ საკვები საკარმიდამოს პირუტყვისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის მიმართვის პასუხად საკვებდამზადებაში ჩამორჩენის დასაძლევად ხელი გამოიღეს არასასოფლოსამეურნეო საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებმაც. შაბათობით თბილისის კიროვის, ლენინის რაიონები საკვების დაბინავებაში აქტიურად ეხმარებიან საგარეჯოსა და დუშეთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს. ჭალაქელები 600-600 ტონა მწვანე მასას შემატებენ მეცხოველეთა სადაზღვევო მარაგს.

და მაინც, თიბვაში ვხვდებით დაყოვნების შეუწყნარებელ ფაქტებს, რაც იმას მოწმობს, რომ შარშანდელი გაკვეთილებიდან სწორი დასკვნები ყველას არ გამოუტანია. თელავის, ბოლნისის, დუშეთის, ყვარლის, კასპის, ახმეტის, ცხაკაიას რაიონებში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ისევე როგორც მთელ რესპუბლიკაში, ბალახი უხვად არის შემოსული, მაგრამ იქაური მეურნეობები ჯერ კიდევ ზოზინებენ, მწვანე ალოობის ტემპს არ აძლიერებენ. ამის შედეგია, რომ ისინი თივის დამზადებაში წლევანდელ საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელსაც კი ჩამორჩნენ. სენაჟის მომარაგებას აყოვნებენ სამტრედიაში, ცაგერში, გორში, ონში, ჭიათურის ზონასა და სხვა რაიონებში.

ბალახი ვერ მოიცდის. დასახლებული რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მეტი ოპერატიულობა უნდა გამოიჩინონ; სწორად უნდა შეაფასონ ახლანდელი ვითარება, როცა ფურაჟის დამზადებაში დიდი სიძნელეები წარმოიქმნა და რესპუბლიკის მშრომელებისათვის საგანგებო მნიშვნელობა შეიძინა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებამ, რომ მეცხოველეობის აღმავლობის საკვანძო ამოცანაა საკვები ბაზის განმტკიცება და ამ თვალსაზრისით ახლანდელი ხუთწლედი მნიშვნელოვანწილად საკვების ხუთწლედი უნდა გახდეს.

საკვების პრობლემებზე მუშაობაში ცოტა ხარვეზები და საზრუნავი როდი აქვთ ახალციხის, ონის, დმანისის, თიანეთის რაიონების და სამხრეთ ოსეთის საბჭოთა მეურნეობებს, სადაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს საკვებწარმოების ინტენსიფიკაციას, მინდვრების ნაყოფიერების გადიდებას, ნათესების სტრუქტურის სრულყოფას. ისინი, იმის გამო, რომ შარშან ნათესებს გულისყურით ვერ მიხედეს, ერთწლოვანი ბალახის, თივის და სიმინდის სასილოსე მასის საშუალო მოსავლიანობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის მიერ დასახულ ორიენტირს სანახევროდაც ვერ მიუახლოვდნენ.

ფურაჟის დაგროვების შესაძლებლობათა ასეთი უნიათო გამოყენება მით უფრო შეუწყნარებელია, რომ სწორედ XVIII პლენუმის შემდეგ რესპუბლიკაში საკვების წარმოება ერთიორად გაიზარდა და ამ მხრივ მისაბაძი მაგალითიც ბევრგან გვაქვს. აბაშისა და წალენჯიხის რაიონებში ბალახის ნათესებში 30-40 ცენტნერ თივას იღებენ და სიმინდის სასილოსე მასის ჰექტარობრივი მოსავლიანობითაც შარშან რესპუბლიკურ დონეს ორჯერ და მეტადაც გაუსწრეს.

საკვების მოსავლიანობის პრობლემა უშუალოდ უკავშირდება თივის, სილოსის, სენაჟის დამზადების წესების დაცვას, ვინაიდან ფურაჟის დაბინავების ტექნოლოგიის დარღვევის გამო რესპუბლიკა ყოველწლიურად ათიათასობით ტონა საკვებ ერთეულს კარგავს. ამას საგანგებოდ უნდა ჩაუფიქრდნენ ტყიბულის ზონის სოჩხეთის, ორპირის, კოსრების კოლმეურნეობების, ხიდისღის რაიონის ულიანოკის კოლმეურნეობის, ახმეტის რაიონის ოფეის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებლები, რომლებმაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმიის“ მონაცემებით, წლეულს, ივნისის პირველ ნახევარში დიდძალი უხარისხო სენაჟი დაამზადეს.

ეს კი იმას მოწმობს, რომ ამ რაიონებში სუსტია საზოგადოებრივი კონტროლი ფურაჟის ხარისხისადმი.

თვალს ვერც იმას ავარიდებთ, რომ რესპუბლიკის საავტომობილო გზების, არხების, ხევების პირებში, სადაც ბევრი დამატებითი მწვანე მასის მოპოვება შეიძლება, მთიბავები კანტიკუნტად ჩანან. ამ რეზერვის გამოყენებისათვის ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მატერიალურად უნდა დაინტერესონ და დარაზმონ მუშა-მოსამსახურეები, პენსიონერები. ყოველივე ეს ხაზგასმით არის ნათქვამი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ გადაწყვეტილებაში, რომლითაც ივლისი გამოცხადდა გზისპირებზე, მდინარეების, წყალსატევების, ხარწყავი სისტემების ნაპირებზე, ტერასებზე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კიდეებზე, მრავალწლოვანი ნარგავების მწკრივთშორისებში, ქალაფარ ზოლებში, ხევებსა და სხვა, მექანიზაციისათვის მოუხერხებელ ნაკვეთებზე, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების პარკებში, სკვერებში და გაზონებზე საკვების დამზადების დამკვრელურ თვედ.

მკვეთრად რომ დაჩქარდეს საკვების მარაგის შევსების ტემპი, კიდევ უფრო მოქნილი უნდა გახდეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. ამ საქმეს უნდა დაუჭვიმდებარდეს პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მექანიზებულ ბრიგადებსა და რგოლებში. საქმეს წინ წასწევს საკვებმომპოვებელთა მორალური და მატერიალური წახალისება, მათთვის დიდნაყოფიერი შრომისა და დასვენებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

ფართოდ არის გაშლილი ფურაჟის დაგროვების ფრონტი რესპუბლიკაში. საკვებმომპოვებლებს წლეულს გეგმებიც დიდი აქვთ. მათ უნდა დაამზადონ 600 ათასი ტონა თივა, 655 ათასი ტონა ხეენაჟი, 800 ათასი ტონა სხვა უხეში საკვები, 150 ათასი ტონა საკვები ძირხვენები, 40 ათასი ტონა ბალახის ფხვნილი და მილიონი ტონა სილოსი.

ამ მიჯნების მიღწევას საფუძველი ზაფხულშივე უნდა დაედოს, როცა, საერთოდ, წყდება საკვებიან ფერმებს უზრუნველყოფის და, ამდენად, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ბედი.

სოფლის მშრომელებს, მათი შეფების ვალია მაქსიმალური უკუგებით გამოიყენონ საკვების მინდორში მუშაობის ყოველი საათი.

სკპკ XXVI ყრილობის მასალების პროპაგანდისა და შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მონაწილეთა რეგისტრაცია იწყებრმოებს 5 ივლისს 10-დან 18 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლში (პლეხანოვის პრ. 61). (საქინფორმი).

ვანის რაიონის მშრომელებმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს სენაჟის დამზადების წლიური გეგმა. მათ უკვე დაამზადეს 4.415 ტონა სენაჟი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 1.415 ტონით მეტია. სენაჟის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 147 პროცენტით. ვანელები თივის დამზადებაშიც უსწრებენ საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს.

საკვების დამზადებაში თავი გამოიჩინეს ვანის მეცხოველეობის კომბინატმა, ბზვანის კოკეიძეს, საპრასიას კიროვის სახელობის კოლმეურნეობებისა და ზეინდარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებლებმა. სენაჟის დამზადება გრძელდება.

● ●

სურათებზე: ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს დღეში მექანიზატორი დუშიკო თავაძე თიბვის დროს; სასენაჟე მწვანე მასის აღება ვანის მეცხოველეობის კომბინატში.

ი. ბოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ცხაკაიელ მეაბრეშუმეთა წარმატება

უამინდობითა და თუთის ფოთლის სიმცირით გამოწვეული დიდი სიძნელეების მიუხედავად ცხაკაიას რაიონის მეაბრეშუმეებმა რესპუბლიკაში პირველებმა უპატაკეს სამშობლოს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმის შესრულება. 1 ივლისისათვის დამზადებულია 401 ცენტნერი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი გეგმით გათვალისწინებული 400 ცენტნერის ნაცვლად.

პარკის დამზადების დავალებები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს უშაფათის ორჯონიკიძის, ლეძაძამის ცხაკაიას, ფოცხოს კიროვის, ხორშის გამარჯვების, ზანის ყდანოვის, ეკის გზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობებმა, ცხაკაიას ხეხილის სანერგე მეურნეობამ, კოტიანეთის, ტეხურის, ნოჭალაქევის, კოლხეთის საბჭოთა მეურნეობებმა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

1-2 ივლისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილებათა გამგეების თათბირ-სემინარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პარტიის XXVI ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში გამოთქმულ მითითებათა მიხედვით მსუბუქი და კვების მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე.

თათბირ-სემინარზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგემ თ. ი. მოჩალინმა.

მსუბუქი და კვების მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილებათა გამგეები, საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ნ. ბაკეევი და ზ. ნ. ნურიევი, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. შოლონიკოვი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოების პასუხისმგებელი მუშაკები.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის სხდომაზე

1 ივლისს მოსკოვიდან სოფიას გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXV სხდომაში.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ა. ი. პელშემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ვ. რუსაკოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, სსრ კავშირის მინისტრებმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ამავე დღეს დელეგაცია სოფიაში ჩავიდა. (საკდესი).

შეხვედრამ ნდობის ვითარებაში ჩაიარა

1 ივლისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი შეხვდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს, სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარეს ვ. ბრანდტს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ვ. ვ. ზაგლადინი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრივ — პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ჰ.-ი. ვიშნევსკი.

ორივე მხარემ მაღალი შეფასება მისცა ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. ბრანდტის 30 ივნისის შეხვედრის მნიშვნელობას ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ურთიერთგაგების განვითარებისათვის.

გამოითქვა ერთსულოვანი რწმენა, რომ ორივე ქვეყნის პოლიტიკურად პასუხისმგებელ მოღვაწეთა თანამშრომლობა ხელს შეუწყობს წარმატებას ომის საფრთხის, გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ევროპაში გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და განგრძობისათვის ბრძოლაში.

ორივე მხარემ დადასტურა: ისინი იღვწიან იმისათვის, რომ აქტიურად შეუწყონ ხელი დაძაბულობის შენელებას, განამტკიცონ ურთიერთგაგება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორივე მხარე ისწრაფვის განაგრძოს და განავითაროს კონტაქტები.

საუბარმა გულახდილობისა და ნდობის ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ა. მაიერ-ლანდრუტმა დარბაზობა გამართა ვ. ბრანდტის პატივსაცემად.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტში ვ. ბრანდტმა წაიკითხა ლექცია გლობალური პრობლემებისა და განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობის შესახებ.

(საკდესი).

ვ. ბრანდტი მოსკოვიდან გაემგზავრა

2 ივლისს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა. იგი ჩვენს ქვეყანაში ვიზიტად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმარი გააცილეს ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გაცილების დროს უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს და დადებითად შეაფასა ვ. ბრანდტის ვიზიტის შედეგები

(საკდესი).

სურათზე: აეროდრომზე გაცილების დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ერთობლივი ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 1 ივლისი (საკდესი). ორმოცდახუთი თვეა დედამიწის ირგვლივ კოსმოსურ სივრცეში ფუნქციონირებს „სალუტ-6“ ორბიტული სამეცნიერო სადგური.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1981 წლის 19 ივნისს სადგურს შეუერთდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1267“, დასახული პროგრამის შესაბამისად გრძელდება ორივე კოსმოსური აპარატის საბორტო სისტემებისა და მოწყობილობის გამოცდა ერთობლივი ფრენის დროს.

29 და 30 ივნისს „კოსმოს-1267“ ხელოვნური თანამგზავრის ძრავის დანადგარის გამოყენებით მოეწყო კოსმოსური კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია. ამჟამად მისი ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირისაგან — 400 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირისაგან — 340 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,7 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ტელემეტრიული გაზომვების მონაცემებით „სალუტ-6“ — „კოსმოს-1267“ ავტომატური ორბიტული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. დედამიწაზე მიღებულ ინფორმაციას ამუშავებენ და შეისწავლიან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ვ. თ. გარბუზოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის და დამადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მიენიჭოს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრს ამხ. ვასილ თევდორეს ძე **გარბუზოვს სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ჩაქუჩი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 2 ივლისი.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ცედენბალს

ძვირფასო ამხანაგო ცედენბალ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და პირადად გულითადად გილოცავთ ხელახლა არჩევას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს თქვენს ნაყოფიერ საქმიანობაში, რომელსაც ამ მაღალ სახელმწიფო პოსტზე ეწევით მონღოლი ხალხის ბედნიერებისა და აყვავებისათვის.

გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური მონღოლეთის ტრადიციული ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა კვლავაც განვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხების, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების ინტერესებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის!

ლ. ბრეჟნევი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ჟ. ბაჰმუნხს

ძვირფასო ამხანაგო ბატმუნხ!

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით და პირადად გულითადად გილოცავთ ხელახლა არჩევას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სპატიო პოსტზე.

გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ საქმიანობაში, რომელსაც ეწევით მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ნ. ტიხონოვი.

დავეხმაროთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი!

რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში

ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის დამზადება 2 ივლისისათვის (ტონობით)

ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები	მოკრეფილი იყო 1980 წლის სეზონის დასაწყისიდან	1981 წლის სეზონის დასაწყისიდან მოკრეფილია	+ —
ხელვაჩაურის	8714	10145	+ 1431
ქობულეთის	20060	20147	+ 87
ქედის	567	639	+ 72
სულ აჭარაში	29341	30931	+ 1590
გალის	22105	18606	— 3499
ოჩამჩირის	16976	14758	— 2218
სოხუმის	364	354	— 10
გულრიფშის	1395	1337	— 58
გუდაუთის	3182	3233	+ 51
სულ აფხაზეთში	44014	38288	— 5726
მახარაძის	45356	38297	— 7059
ჩოხატაურის	6553	6375	— 178
ლანჩხუთის	12563	12201	— 362
სამტრედიის	1548	1384	— 164
წულუკიძის	4648	4694	+ 46
წყალტუბოს ზონა	5486	5598	+ 112
ტყიბულის ზონა	5449	3851	— 1598
ცხაკაიას	5689	5157	— 532
აბაშის	404	462	+ 58
გეგეჭკორის	11904	11112	— 792
ზუგდიდის	28184	25284	— 2900
წალენჯიხის	13552	11926	— 1626
ჩხოროწყუს	10747	9592	— 1155
ხობის	4633	4786	+ 153
თერჯოლის	581	515	— 66
ჭიათურის ზონა	527	553	+ 26
ვანის	486	494	+ 8
სულ საქართველოს სსრ-ში	231665	211501	— 20164

საწარმოო გაერთიანება „საქჩაის“ მონაცემები მოწმობს, რომ ყოველდღიურად ათას ტონაზე მეტით მცირდება შარშანდელთან შედარებით განსხვავება ჩაის ნედლეულის დამზადებაში. მაგრამ ჩამორჩენა მაინც 20 ათას ტონას აღემატება. ამ ფონზე ქებისა და მიბაძვის ღირსია აჭარის მეჩაიეთა შემართება. მათ შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 1590 ტონით გადააჭარბეს. შარშანდელი ტემპის გასწრებით კრეფენ ფოთლს გუდაუთის, წულუკიძის, აბაშის, ხობისა და ვანის რაიონებში, წყალტუბოსა და ჭიათურის ზონებში.

ამასთან რესპუბლიკის 15 რაიონს ჩამორჩენისათვის ჯერ კიდევ თავი ვერ დაუღწევია. მათ ყოველი ხელსაყრელი წუთი ჩაის ნედლეულის დამზადებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში გარდატეხას უნდა მოახმარონ.

მომავლის რწმენის ძალა

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ნოდარ ლუმბაძის გამოსვლა სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობაზე

ძვირფასო მეგობრებო!

პირველად გამოვდივარ ამ მაღალი ტრიბუნიდან და ამიტომ, ბუნებრივია, ძალიან ვღელავ. ისიც ბუნებრივია, რომ გადავიკითხე ჩემი წინამორბედების ყველა გამოსვლა წინა ყრილობებზე იმ იმედით, ეგებ რაიმე მეპოვა, რაც მათ დავიწყებოდათ და თავი მომენონებინა თქვენთვის ცინცხალი აზრით.

მაგრამ, თურმე ამ 50 წლის განმავლობაში ჩემს წინამორბედებს თქვენთვის ქართულ ლიტერატურაზე ყველაფერი უამბნიათ, იაკობ ცურტაველიდან მოყოლებული გალაკტიონ ტაბიძემდე.

მას შემდეგ კი, რაც თბილისში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე წარმოთქმულ თავის ისტორიულ სიტყვაში დიდად პატივცემულმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დასავლელი და აღმოსავლელი მილიტარისტების ვნებებისა და აღგზნებული წარმოსახვის დასაშომინებლად დაიმოწმა დიდი რუსთაველის სიტყვები:

კაცო, ძალსა ნუ იქადი,
ნუცა მოჰკვეხ ვითა მთრვალი!

დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი, — ამის შემდეგ არა მგონია საჭირო იყოს გაგაცნოთ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია და მნიშვნელობა. ვეჭვობ, რომ დღეს მსოფლიოში იყოს პოეტი, რომლის ლექსებიც ასეთი ელვისებური სისწრაფით გადაითარგმნებოდა დედამიწის ყველა ენაზე, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში და დაიბეჭდებოდა ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანაში.

ეს არის ლიტერატურის ინტერნაციონალური სულისკვეთებისა და ცხოვრებასთან, ხალხთან მისი კავშირის გამოვლინების ბრწყინვალე მაგალითი.

ახლა შევეცდები მოკლედ გიამბოთ, როგორ ვითარდება თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარება-აყვავების, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის, მთელი ქვეყნისა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები კითხველებისათვის მისი მიღწევების ფართოდ გაცნობის პროცესი, უთუოდ, დაკავშირებულია საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან. იმ შემოქმედებითი მეგობრობისა და თანამშრომლობის წყალობით, რომელიც, ნიკოლოზ ტიხონოვს, ბორის პასტერნაკს, ნიკოლოზ ზაბოლოცკის, პავლე ანტოკოლსკის, კონსტანტინე სიმონოვს, მიკოლა ბაჟანს, მიხეილ ლუკონინს, ალექსანდრე მეჟიროვს, არსენ ტარკოვსკის აკავშირებდა ტიციან ტაბიძესთან; პაოლო იაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, გიორგი ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებთან და სხვა ჩვენს მწერლებთან, ქართული ლიტერატურა მრავალი ხალხის კუთვნილებად იქცა.

ამ კეთილშობილურ საქმეს დაუვიწყარი ამაგი დასდო კონსტანტინე მიხეილის ძე სიმონოვმა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სათავეში ედგა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს. ახლა მის საქმეს განაგრძობს ცნობილი რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო. ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ მის ნიჭზე, ენერგიასა და საქართველოსადმი დიდი ხნის სიყვარულზე.

ბოლო ათწლეული საქართველოში ლიტერატურის მძლავრი განვითარებით აღინიშნა. და არა მარტო ლიტერატურის. ამ წლებს სრული უფლებით შეიძლება ეწოდოს ქართული საბჭოთა ხელოვნების რენესანსი. ჩვენთან შექმნილი სულიერი ღირებულებანი შორს გასცდა არა მარტო კავკასიონის ქათქათა მწვერვალებს, არამედ მსოფლიო ასპარეზზეც გავიდა. წინათ არასოდეს ყოფილა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა შორის ამდენი საპატიო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

საქართველოში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის გარდა დაწესებულია ყოველწლიური სახელმწიფო პრემია „მწერალი და ხუთნლეული“, ექვსი . ყოველწლიური პრემია, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია წლის საუკეთესო ლექსისათვის, აგრეთვე ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემია, რომელიც პოლიტიკური, სამოქალაქო ხასიათის პოეტური ნაწარმოებისათვის ენიჭება მხოლოდდამხოლოდ ახალგაზრდა პოეტებს, თანაც არა მარტო საქართველოში მცხოვრებთ, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ლიტერატურის წარმომადგენლებსაც.

აი როგორი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს ახლა საქართველოში, მაგრამ, მაინც ნურავის ეგონება თითქოს მთელი ამ წლების განმავლობაში ქართული ლიტერატურა თავის რიგს ელოდა და ბოლოს, როცა რიგმა მოუწია, მთელი ეს ჯილდოები და პრივილეგიები მიიღო. არა, ყოველივე ეს მას წილად ხვდა სისხლისა და ოფლის ფასად, ყოველივე ეს მოიტანა ამჟამად რესპუბლიკაში გამეფებულმა პატიოსანი შრომისა და ალმშენებლობის ატმოსფერომ. მწერლებმა იგრძნეს, რომ პასუხს აგებენ ერის სულიერი ცხოვრებისათვის, ხალხის ენისათვის, ხალხის მომავლისათვის.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა, ენა სალვთო რამ არის, საზოგადო საუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო. ენაში კონცენტრირებულია ხალხის სულისკვეთება და გულისთქმა. აი როგორი სიმდიდრე გვანდო პარტიამ და ხალხმა ჩვენ, მწერლებს.

სწორედ ამ პასუხისმგებლობის გრძნობის წყალობით გაჩნდა ბოლო წლებში ქართველ საბჭოთა მწერალთა შესანიშნავი პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, რომლებიც მთელ ჩვენს ქვეყანაში და სხვა საზღვრებს გარეთაც გახმიჭნდა.

ჩემი მხრივ, უსამართლო იქნებოდა დამესახელებინა მხოლოდ ის მწერლები, ვინც გამოიჩინა თავი საანგარიშო პერიოდში. ყველამ ვიცით, რომ ხშირად ძალიან ნიჭიერი პოეტები და პროზაიკოსები წლობით დუმან, და სწორედ ეს დუმილია შინაგანი შემოქმედებითი პროცესი. იმედი მაქვს, მათ სახელებს სექციების სხდომებზე გავიგონებთ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ყრილობის მოწყობის ამგვარი პრაქტიკა საქმიან ხასიათს ანიჭებს ჩვენს მუშაობას, რომელიც ნინათ ხშირად სცოდავდა პარადულობითა და ფორმალიზმით.

რით აიხსნება ჩვენს რესპუბლიკაში შემოქმედებითი ცხოვრების ასეთი აღმაფრენა და აღმავლობა? მთლად სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ეს მარტო ქართველი ხელოვანებისა ან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მეცადინეობის ნაყოფი იყოს. ეს დღევანდელობის ტენდენციაა, ჩვენი პატრიოტისა და ჩვენი სახელმწიფოს იმ ბრძნული ეროვნული პოლიტიკის შედეგია, რომელიც დიდმა ლენინმა გვიანდერძა.

უწინარეს ყოვლისა ქვეყანაში მოხდა შემოქმედებითი აზროვნების არნახული დემოკრატიზაცია. კარგა ხნისა ვარ, მაგრამ არასოდეს შევსწრებივარ და არც მსმენია, რომ პარტიის ხელმძღვანელსა და სახელმწიფოს მეთაურს თავის მოხსენებაში ამდენი, ასეთი სიყვარულითა და გაგებით ელაპარაკოს ლიტერატურაზე როგორც ეს გააკეთა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე.

ხოლო ლეონიდ ილიას ძის მიერ მისთვის ლენინური პრემიის გადაცემისას ნათქვამი სიტყვები, რომ „წესად უნდა გავიხადოთ ადამიანებს ველაპარაკოთ უბრალო და გასაგები ენით, გულახდილად და საქმიანად. დროა ხელი ავიღოთ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებზე, კაბინეტურობასა და მექანიკურ გადამღერებაზე. უნდა შევეჩვიოთ ისეთ წერას, რომ თითოეულ ფრაზაში ვაქსოვდეთ საკუთარ ცოცხალ აზრს, საკუთარ გრძნობებს. თითქოს და უდავო საქმეა, მაგრამ რაოდენ ძნელია ამის მიღწევა“ — ეს ჭეშმარიტად ბრძნული სიტყვები ყველა ჩვენგანის პროგრამაა.

მე ვფიქრობ, თუ მწერალს არ შეუთვისებია ეს „მარტივი ნესები“, მაშინ, სანამ აქ სიტყვებს წარმოვთქვამთ, შეუძლია ადგეს, დარბაზიდან გავიდეს და უფრო იოლი და შესაფერისი პროფესია მოძებნოს.

იმავე დემოკრატიზმის გულისთვის შეერწყა ერთმანეთს მკითხველის, მწერლისა და ოფიციალური სახელმწიფო ინსტანციების ესთეტიკური შეხედულებანი და გემოვნება. რა დასამალია, თუ წინათ ხოტბას ასხამდნენ და რეკლამას უწევდნენ ნაწარმოებებს, რომლებსაც მკითხველი ერთგვარი უნდობლობითა და სკეპტიკურ ინდიგნაციით ეკიდებოდა, ახლა ლენინურ და სახელმწიფო პრემიებს ხალხის მოწონებული, მისთვის ახლობელი ნაწარმოებები იღებენ. და ეს იმდენად ჩვეულებრივი გახდა, რომ უცხოეთის გამომცემლობებში თავი იჩინა ერთგვარმა დაბნეულობამ: ეს რა ხდება, როგორ შეიძლება ასეთი რამ ხდებოდეს?

ასეთი შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო შემოქმედებითი აზროვნების, ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების დემოკრატიზაციის პროცესმა, რომელიც კერძომეწარმოებასა და ცალკეულ პირთა მეცადინეობას კი არა, სახელმწიფო საფუძველს ემყარება. იმ უდიდესი დახმარების გარდა, რომელსაც ნიადაგ გვიწევს სსრ კავშირის მწერალთა კავშირი, აღვნიშნავ ჩვენი ლიტერატურული პრესის, განსაკუთრებით ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვისა“ და სახელმწიფოს მეთაურს თავის მოხსენებაში ამდენი, ასეთი სიყვარულითა და გაგებით ელაპარაკოს ლიტერატურაზე როგორც ეს გააკეთა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე.

ბოლო ლეონიდ ილიას ძის მიერ ლენინური პრემიის გადაცემისას ნათქვამი სიტყვები, რომ „წესად უნდა გავიხადოთ ადამიანებს ველაპარაკოთ უბრალო და გასაგები ენით, გულახდილად და საქმიანად. დროა ხელი ავიღოთ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებზე, კაბინეტურობასა და მექანიკურ გადამღერებაზე. უნდა შევეჩვიოთ ისეთ წერას, რომ თითოეულ ფრაზაში ვაქსოვდეთ საკუთარ ცოცხალ აზრს, საკუთარ გრძნობებს. თითქოს და უდავო საქმეა, მაგრამ რაოდენ ძნელია ამის მიღწევა“ — ეს ჭეშმარიტად ბრძნული სიტყვები ყველა ჩვენგანის პროგრამაა.

ისევე როგორც ყველგან, ჩვენს მწერალთა რაზმსაც შეემატა იმედისმომცემი ახალგაზრდა შევსება. მოხდა დემოგრაფიული აფეთქება, და ქვეყნად გაჩენილი ყოველი მწერალი, ცხადია, მოითხოვს თავის წილ პურსა და საცხოვრებელ ფართობს, რომელიც სულ უფრო და უფრო მცირდება.

ვიცი, ჩვენს ყრილობას ესწრება პატივცემული ბორის ივანეს ძე სტუკალინი. გთხოვთ, ბორის ივანეს ძევ, ცოტა მოგვიმატოთ ულუფა — პური და საცხოვრებელი ფართობი.

რა არის მწერლისათვის პური და საცხოვრებელი ფართობი? რაღა თქმა უნდა, ქაღალდი. აქ დამსწრე ჩემი სამხედრო კოლეგები დამეთანხმებიან, თუ ვიტყვი, რომ უქაღალდო მწერალი იგივეა, რაც უპარაშუტო საპაერო დესანტი. **(ტაში).**

გარდა ამისა, გამოგიტყდებით, ჩამოვიტანე ყველასათვის ძალზე საყვარელი და პატივცემული კაცის სარეკომენდაციო ბარათი. აი რას წერს იგი:

„საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქიტექტურაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომლებმაც გაამდიდრა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა. მხატვრული შემოქმედების საგრძნობი აღმაფრენით აღინიშნა უკანასკნელი წლები... ეს მიღწევები შედგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხანაგი შევარდნაძე, რომლის ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი“.

განა შეიძლება ასეთ რეკომენდაციაზე უარის თქმა? მოგვეცით ქაღალდი, ჩვენ კი პირობას გაძლევთ, რომ ტყუილუბრალოდ არ გავაფუჭებთ მას და ამიერიდან მხოლოდ ისეთ ნაწარმოებებს დავნერთ, როგორიც შეეფერება ჩვენს დიდ სამშობლოსა და ჩვენს დიდ ხალხს. **(ტაში).**

უდიდესი ყურადღებით ვისმენდი ლეონიდ ილიას ძის გამოსვლას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე და მიმართვას მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი; ვისმენდი და ძალიან ვღელავდი. ჩემმა ხუთი წლის შვილიშვილმა ერთხელ მითხრა, ცა სახლია, სადაც მზე ცხოვრობსო. მან ჯერჯერობით არ იცის, რომ ცაში მარტო მზე კი არა, ჩვენი დედამიწაც ცხოვრობს, და რომ იგი მისი სახლიც არის. და რომ ამ სახლის ყოფნა-არყოფნის საქმე ბევრად არის დამოკიდებული მწერლებზეც.

ოცდათექვსმეტი წელიწადია თავს დაგვნთია მშვიდობიანი ლაყვარდოვანი ცა, ოცდათექვსმეტი წელიწადია თავის ხალხთან ერთად ატლანტებივით შესდგომიან მწერლები ბეჭებით ამ მძიმე, მაგრამ მშვიდობიან ცის თაღს. ჩვენ, მეგობრებო, მოვალენი ვართ მემკვიდრეებს, შვილებსა და შვილიშვილებს გადავცეთ ეს მოწმენდილი ცა, მაგრამ დაე იცოდნენ მათ, რომ არც ისე ადვილად გვეცხოვრებოდა ამ პლანეტაზე, როგორც ეს ახლა ზოგიერთს ჰგონია.

ორასი წლის წინათ დალხენილმა ცხოვრებამ როდი გააწოდებინა ერთმანეთისათვის ხელი ჩვენს წინაპრებს, ქართველებსა და რუსებს. 1983 წელს აღვნიშნავთ რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების ორასი წლის თავს. სწორი არჩევანი მოახდინეს ჩვენმა წინაპრებმა ორასი წლის წინათო, ბრძანა ლეონიდ ილიას ძემ. ამაში დიდი როლი შეასრულეს მაშინ მწერლებმა.

ტყუილად როდი მიმართა დიდმა ბარათაშვილმა ერეკლე მეორის საფლავს: ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენიო. დარწმუნებული ვარ, ქართული საბჭოთა ლიტერატურა კვლავაც იქნება ჩვენი დიადი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე რიგებში და არასოდეს შენელდება მისდამი ინტერესი.

ამ რწმენით მოვედი. ჩვენს ყრილობაზე და ამ რწმენითვე ნავალ აქედან. გმადლობთ ყურადღებისათვის **(ტაში).** (საკდეს-საქინფორმი).

ზემოქმედება მაღალი პასუხისმგებლობა

სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობაზე

ხალხის ცხოვრების ფართო პანორამა, ბრძოლითა და იმედებით აღსავსე დღევანდელობა წარმოუდგება მკითხველს საბჭოთა მწერლების წიგნების ფურცლებიდან. პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპების ერთგულ მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ოსტატებს თავიანთ მოწოდებად მიაჩნიათ იღვაწონ ჩვენი დროების ყველაზე სამართლიანი და კეთილშობილური იდეალების — კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის.

მაღალი პრინციპულობის სულისკვეთება, დროების წინაშე ხელოვანის პასუხისმგებლობის ღრმა შეგნება, საერთო ზრუნვა საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი აყვავებისათვის — აი რა ახასიათებს შემოქმედებითს დისკუსიას, რომელიც სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობაზე გაჩაღდა. 2 ივლისს იგი მუშაობას განაგრძობდა მოსკოვის კრემლის დიდ სასახლეში.

შემოქმედებითი კომისიების მუშაობის შედეგების შესახებ ყრილობის დელეგატებს ესაუბრნენ ა. ანანიევი („ლიტერატურა მშვიდობის, ჰუმანიზმის, პროგრესისათვის ბრძოლაში“), ვ. კოჟევნიკოვი („ჩვენი დღეების გმირი და თანამედროვე პროზაში მისი მხატვრული განსახიერების გამოცდილება“), ს. მიხალკოვი („მშრომელის, პატრიოტის, ინტერნაციონალისტის აღზრდა ადაპტაციისა-საყმაწვილო ლიტერატურა“), ვ. ოზეროვი („უკანასკნელი წლების მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გაშუქება სალიტერატურო კრიტიკაში“).

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ თ. აბრამოვი (ლენინგრადი), მ. იბრაგიმოვი (აზერბაიჯანი), სსრ კავშირის გამსახკომის თავმჯდომარე ბ. სტუკალინი.

სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობას მიესალმნენ ლიტერატურული ორგანიზაციათა წარმომადგენლები ლუბომირ ლეგჩევი (ბულგარეთი), ონლიონ ხორხე კარდოსო (კუბა), ჰერმან კინტი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ასადულა ჰაბიბი (ავღანეთი) და სხვები.

ყრილობის დელეგატებმა ერთხმად მიიღეს მიმართვა მსოფლიოს მწერლებისა და კულტურის მოღვაწეებისადმი, რომლებსაც მოუწოდებენ ყველაფერი იღონონ, რათა იხსნან კაცობრიობა ბირთვული თვითმკვლელობისაგან, დაამკვიდრონ მშვიდობა, თანმხმობა და თანამშრომლობა.

(საკდესის კორ.).

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკდესისა და ახალი ამბების საკენტროს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო დღიურის ზურგზე

ხელოვნება

2 ივლისი

„გეყოფათ შეიარაღება, მისტერ რეიგან!“

ბოგოტა. „გეყოფათ შეიარაღება, მისტერ რეიგან!“ — კოლუმბიის უდიდესმა გაზეთმა „ესპექტადორმა“ ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ალფრედო ვასკეს კარისოსას სტატია. ავტორი მკაცრად აკრიტიკებს ამერიკის ადმინისტრაციის საგარეოპოლიტიკურ კურსს.

ვაშინგტონმა, აღნიშნავს ა. ვასკეს კარისოსა, გააჩაღა ისტორიაში არნახული გამალებული შეიარაღება. იარაღი და კვლავ იარაღი — ასეთია აზლა თეთრი სახლის მთავარი არგუმენტი.

● იაპონია

საშიში „ბირთვული ქოლგა“

ტოკიო. უბადალებული „ბირთვული ქოლგა“, რომლითაც ვაშინგტონი „უზრუნველყოფს“ იაპონიას და სამხედრო ბლოკებში თავის სხვა მოკავშირეებს, ხანამდვილში სეროზულად ემუქრება მათ უშიშროებას, წერს იაპონიის გაზეთი „აკაჰატა“. ამერიკის შეერთებული შტატები, აღნიშნავს გაზეთი, ამ ბოლო დროს გაძლიერებით ეწევა ეგრეთ წოდებული „შეზღუდული“ ბირთვული ომის პროპაგანდას, რომელიც, პენტაგონელი სტრატეგების აზრით, უნდა წარმოებდეს ევროპაში ან აზიაში. ამასთან, ამერიკის ბირთვულ იარაღს აქტიურად გამოიყენებენ იაპონიის, სამხრეთ კორეის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიებზე, რამაც, როგორც, ამტკიცებენ, უნდა დაიცვას ეს ქვეყნები „შესაძლო თავდასხმისაგან“.

მაგრამ, წერს „აკაჰატა“, ამერიკის „ბირთვული ქოლგის“ მიზანი არავითარ შემთხვევაში არ არის ის, რომ უზრუნველყოს იმ სახელმწიფოთა უშიშროება, რომლებსაც იგი „იფარავს“.

პირიქით, იგი მოწოდებულია მხოლოდ თავიდან ააცილოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ბირთვული ომის საშიშროება, თვ ვაშინგტონმა გააჩაღა ომი და გამოიყენა იაპონიის ან თავისი სხვა მოკავშირის ტერიტორია. სხვანაირად რომ ვთქვათ, აღნიშნავს „აკაჰატა“, იაპონია გახდებს ამერიკის შეერთებული შტატების „ბირთვული ფარი“ და მიიღებს გამანადგურებელ საპასუხო დარტყმას ბირთვული კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში.

● იტალია

დეპუტატები— პასუხისგებაში

რომი. იტალიის პარლამენტმა ნება დართო პროკურატურას სასამართლო პასუხისგებაში მისცეს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს 10 დეპუტატი, მათ შორის ნეოფაშისტური პარტიის პოლიტიკური მდივანი ჯ. ალმირანტე. ათივე დეპუტატს — სამ ნეოფაშისტს, ოთხ ქრისტიან დემოკრატს, რადიკალური, ლიბერალური და სოციალისტური პარტიების თითო წარმომადგენელს, ჩამოერთვათ საპარლამენტო ხელშეუხებლობა. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობამ.

ჯ. ალმირანტეს ბრალად დასდეს იმ მემარჯვენე ექსტრემისტებთან თანამზრახველობა, რომლებმაც 1972 წელს სამი პოლიციელი მოკლეს. პოლიციის ცნობით, იგი დამნაშავეებს ფინანსურ დახმარებას უწევდა. სხვა დეპუტატებს ბრალად დასდეს სამსახურებრივი მდგომარეობის პირადი მიზნებისათვის გამოყენება, ფინანსური მაქინაციები და სხვ.

ახალი ცხოვრების სიკეთე

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადების მე-5 წლისთავი

საზეიმოდ არის მორთული ვიეტნამის ქალაქები და სოფლები. ქუჩებსა და მოედნებს ამშვენებს დროშები და ერთიანი, დამოუკიდებელი სოციალისტური ვიეტნამის სადიდებელი ტრანსპარანტები.

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავს ქვეყანა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადების მე-5 წლისთავს.

1976 წლის 2 ივლისს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება მოასწავებდა ახალ ეტაპს ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. აღსრულდა მთელი ვიეტნამელი ხალხის დიდი ხნის ოცნება სამშობლოს გაერთიანების, მშვიდობიანი, დამოუკიდებელი, სოციალისტური ვიეტნამის მშენებლობის შესახებ.

განვლილ ხუთ წელიწადში რესპუბლიკის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცების საქმეში. თანამიმდევრულად ვითარდებოდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, თვალსაჩინო მოღწევებია მოპოვებული „კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ამჟამად რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ვიეტნამის კომუნისტური პარტიის V ყრილობის შესახვედრად. მშრომელები კისრულობენ ახალ ვალდებულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებას.

ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას მისი გამოცხადების დღიდან დიდი წვლილი შეაქვს აზიის კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

● ●

სოციალისტური ვიეტნამის მთავრობა გულისხმიერად ზრუნავს მოზარდი თაობისათვის. ყოველწლიურად იზრდება ქვეყანაში სბავშვო ბაგა-ბაღების რიცხვი.

სურათზე: სბავშვო ბაღის აღსაზრდელები სეირნობისას ჰანოის ახალ რაიონში.

საკდესის ფოტო.

„ღვინისა“-სად შევიძინოთ იგი?

ეუბრუნდებით დაბეჭდილს

„ძვირფასო რედაქციავ, ამ ორიოდე წლის წინათ თქვენს გაზეთში წავიკითხე წერილი უალკოჰოლო ღვინის შესახებ. წერდით, რომ მეცნიერებმა შექმნეს ისეთი სასმელი, რომელსაც ბევრი სამკურნალო თვისება აქვს. კერძოდ, იგი კარგი საშუალებაა კუჭის წყლის მჟავიანობის მოსამატებლად. თუ შეიძლება, გვაცნობეთ, სად შეიძლება შევიძინოთ ეს ახალი სამკურნალო სასმელი?

ილია ვარაზაშვილი,
გურჯაანის რაიონი,
სოფელი ჯიმითი“.

ასეთი ხასიათის შეკითხვა რედაქციამ არაერთი მიიღო. ჩვენი მკითხველები დიდის გულისყურით ადევნებენ თვალს ყოველ სიახლეს, განსაკუთრებით კი, როცა იგი ადამიანის ჯანმრთელობას ეხება, ერთ-ერთი ენაკვამატი მკითხველი, გვწერს, დაგვპირდით, იქვეფებთ და არ დათვრებითო და როგორ არის საქმე?

რედაქცია დაინტერესდა, თუ რა გაკეთდა მას შემდეგ, რაც მკითხველებს ვაუწყეთ ამ ახალი სამკურნალო სასმელის ამბავი, და ამ მიზნით გამოგონების ერთ-ერთ ავტორს, უალკოჰოლო ღვინის მიღებისა და შესწავლის თემის ხელმძღვანელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოქიმიის კათედრის გამგეს პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძეს ვეწვეთ.

მოკლედ შეგახსენებთ, რას წარმოადგენს უალკოჰოლო ღვინო, როგორ მიიღება იგი და რამდენად სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ღვინის სამკურნალო თვისებები ოდითგანვე იყო ცნობილი, ხალხურ მედიცინაში მას დიდი გამოყენება ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ ღვინო სპირტს შეიცავს, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს მისდამი ინტერესი უკვე XIX საუკუნიდან თანდათანობით შემცირდა და დღეს მას სამკურნალოდ აღარ იყენებენ.

ხალხურ მედიცინაში ისიც კი სცადეს, რომ ღვინის გათბობით სპირტი მოეშორებინათ, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევდნენ.

და აი, საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტისა“ და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოქიმიის კათედრის ერთობლივი გამოკვლევებით შეიქმნა საკონიაკე ღვინომასალის გადამუშავების ახალი ტექნოლოგია, რომლის დროსაც მიიღება უალკოჰოლო ღვინო ანუ „ღვინისა“, როგორც მას შეარქვეს.

გამოკვლევებით დადასტურდა, რომ „ღვინისას“ შენარჩუნებული აქვს ყურძნის წვენის ბევრი თვისება. შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს, მიკროელემენტებს, ორგანულ მჟავებს, ამინომჟავებს, ვიტამინებს და ადამიანის ცხოველმოქმედებისათვის საჭირო ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. მისი გამოყენება შეიძლება როგორც სამკურნალოდ, ასევე სხვადასხვა გამაგრილებელი და დიეტური სასმელის დასამზადებლად.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრებმა კლინიკურად დაადასტურეს „ღვინისას“ სამკურნალო თვისებები. დადგინდა, რომ „ღვინისა“ კარგია კუჭის წვენის მჟავიანობის მოსამატებლად, ნაღვლის გზების დაავადებების სამკურნალოდ, ნერვულ ავადმყოფობათა დროს როგორც ტონუსის ამწევი და ნივთიერებათა ცვლის გამაძლიერებელი, კარგ შედეგს იძლევა უროლოგიურ პრაქტიკაში, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვ.

— რა მდგომარეობაა ამჟამად? თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაამთავრეს ყველა საჭირო დოკუმენტაციის შედგენა.

„სამტრესტის“ მცხეთის ღვინის ქარხანაში გამოყოფილია საექსპერიმენტო საამქრო, სადაც ჩამოასხეს რამდენიმე ათასი ბოთლი უალკოჰოლო ღვინო, მაგრამ ჯერჯერობით ფართო მომხმარებლისათვის არ ყოფილა გამოშვებული. ამას ბევრი რამ ამბრკოლებს. არ არის საჭირო რაოდენობით აპარატურა, ჩამოსასხმელი მანქანები, არ არის დადგენილი სახელმწიფო ფასი. ყველაფერი ეს საქმეს აჭიანურებს. მომხმარებელი კი მოუთმენლად ელის ამ ახალ სამკურნალო სასმელს.

როგორც „სამტრესტის“ მმართველმა გ. ლოლაძემ გვითხრა, ამ წლის ბოლომდე მცხეთის ღვინის ქარხნის საექსპერიმენტო სამქრო ნახევარ მილიონ ბოთლ „ღვინისას“ გამოუშვებს. ეს ექნება სამკურნალო და მოტკბო სასმელი.

რაც შეეხება უალკოჰოლო ღვინის ქარხნის მშენებლობას, მის პროექტზე მუშაობს კვების მრეწველობის სპეციალურ-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის კოლექტივი. ქარხანა მცხეთაში აშენდება.

თითქოს და დაინტერესებული მკითხველი კმაყოფილი უნდა იყოს — საკითხი ერთ წერტილზე არ არის გაყინული, მას რაღაც პერსპექტივა მაინც აქვს და ა. შ.

მაგრამ ეს ასე არ არის. მკითხველიცა და რედაქციაც სამწუხარო ფაქტად მიიჩნევენ, რომ ჩვენში ზოგჯერ ამა თუ იმ ხიახლის დანერგვა უსისტემოდ ხდება, პერსპექტივა ბოლომდე გააზრებული არ არის ხოლმე, ეკონომიკური ეფექტი ბოლომდე გაუთვლელია, შესაძლებელი წინააღმდეგობანი — გაუთვალისწინებელი.

ხშირად ჩვენ თვალს გვჭრის და კმაყოფილებით გვადუნებს პირველადი შედეგი, თვით ფაქტი, რომ ხიახლე აღმოჩენილია. ხალხს და საქმეს კი საბოლოო შედეგი აინტერესებს და ხვირდება.

ლ. ხუბულური.

კონტროლზეა მკითხველთა წერილები

ბაზეთ „კომუნისტის“ მკითხველის ლ. ახათიანის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო წყალტუბოს რაიონის სოფლებს დერჩსა და მექვენას შორის, მდინარე რიონზე, გადებული ხიდის ავარიულობა, რეაგირებისათვის პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტს გადავუგზავნეთ, ხაიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ხიდის ავარიულობა გამოიწვია ქუთაისის ბარიტის წარმოების მძიმეწონიანი ავტომობილების ხისტემატურმა მოძრაობამ. ამჟამად ხიდი კეთდება, უკვე აღდგენილია სავალი ნაწილი და მოაჯირები. დაიდგა ტვირთამწეობის საგზაო ნიშნები. აგრეთვე გავაფრთხილეთ ქუთაისის ბარიტის წარმოების ხელმძღვანელობა, რომ ზუსტად დაიცვან აღნიშნულ ხიდზე ტვირთამწეობის შეზღუდვის მოთხოვნები.

✦—✦

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომმა შეისწავლა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან გადმოგზავნილი კაკაურიძის, ღიბრაძის და სხვათა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო „ქალაქვაჭრობის“ თევზის მაღაზიაში ფასების დამახინჯება, ხვრის ხანერგე საბჭოთა მეურნეობაში მიწათსარგებლობის წესებისა და სხვა დარღვევები. ამის თაობაზე რედაქციამ ასეთი პასუხი მიიღო:

მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტების ერთი ნაწილი დადასტურდა: ზესტაფონის „ქალაქვაჭრობის“ თევზის მაღაზიაში უხეშად ირღვეოდა საბჭოთა ვაჭრობის წესები. სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმების შედეგად გამოვლინდა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ

ცხოველთა სამყარო ბუნებრივი გარემოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი სამრეწველო, სამეურნეო-წამლო ნედლეულის, სასუსრსთო პროდუქტებისა და სხვა იმ მატერიალურ ღირებულებათა მიღების წყაროა, რომლებიც საჭიროა მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ცხოველთა სამყარო გამოიყენება აგრეთვე მეცნიერული, კულტურულ-საგანმანათლებლო და ესთეტიკური მიზნებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუცია და საქართველოს სსრ კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის ხორციელდება ღონისძიებანი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენებისათვის. ეს ღონისძიებანი ხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეების აქტიური მონაწილეობით.

საბჭოთა კანონმდებლობა მოწოდებულია შეუწყოს ხელი ცხოველთა სამყაროს ეფექტიან დაცვას და რაციონალურ გამოყენებას, საბჭოთა ადამიანების აღზრდას ცხოველთა სამყაროსადმი მზრუნველი და ჰუმანური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

კარი I.

ზოგადი დებულებანი

თავი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანებია გარეულ ცხოველთა დაცვისა და გამოყენების დარგში საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ბუნებრივი თავისუფლების პირობებში მათი არსებობის, ბუნებრივ გაერთიანებათა მთლიანობის შენარჩუნებისა და რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე ამ დარგში კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების თაობაზე შედგება „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, ამ კანონისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ აწესრიგებს ურთიერთობას ხმელეთზე, წყალში, ატმოსფეროსა და ნიადაგში ბუნებრივი თავისუფლების პირობებში მცხოვრები იმ გარეული ცხოველების (ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, თევზების, აგრეთვე მოლუსკების, მწერებისა და სხვათა) დაცვისა და გამოყენების საქმეში, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით ბინადრობენ ან განეკუთვნებიან სსრ კავშირის კონტინენტური შელფის ბუნებრივ სამდიდრეებს.

ურთიერთობას სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა, აგრეთვე იმ გარეულ ცხოველთა დაცვისა და გამოყენების დარგში, რომლებიც ჰყავთ ტყეურობის ან ნახევრად ლაქ პირობებში სამეურნეო, კულტურული, სამეცნიერო, ესთეტიკური თუ სხვა მიზნებისათვის, აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამისი კანონმდებლობა. პასუხისმგებლობას აღნიშნულ ცხოველთა დაცვის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 3. ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება სსრ კავშირში

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ცხოველთა სამყარო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას —მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებას.

მოქმედება, რომელიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს სსრ კავშირში ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო საკუთრების უფლებას, აკრძალულია.

მუხლი 4. სსრ კავშირის კომპეტენცია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება:

1) ცხოველთა სამყაროს განკარგვა სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ფარგლებში;

2) ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში საერთო ღონისძიებათა განსაზღვრა და ძირითადი დებულებების, წესებისა და ნორმების დადგენა;

3) ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების საერთო-საკავშირო გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

4) სსრ კავშირისათვის ერთიანი ცხოველთა სახელმწიფო აღრიცხვისა და გამოყენების სისტემებისა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

5) სახელმწიფო კონტროლი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი და მისი განხორციელების წესის დადგენა;

6) ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგის საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხთა გადაწყვეტა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

მუხლი 5. საქართველოს სსრ კომპეტენცია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება:

ცხოველთა სამყაროს განკარგვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მისი დაცვისა და გამოყენების წესის დადგენა; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური გეგმების შემუშავება და დამტკიცება; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში სხვა საკითხების გადაწყვეტა, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციას არ განეკუთვნებიან.

მუხლი 6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამგებლობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციის ფარგლებს გარეთ განეკუთვნება: ცხოველთა სამყაროს განკარგვა შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური (ასსრ) გეგმების შემუშავება-დამტკიცება და ღონისძიებათა განხორციელება; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში სხვა საკითხების გადაწყვეტა, თუ ისინი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციას არ განეკუთვნებიან.

მუხლი 7. სახელმწიფო მართვა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო მართვას ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების ორგანოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოებია საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და ადგილებზე მათი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 8. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სახელმწიფო მართვის კომპეტენცია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობას განეკუთვნება: ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა დაგეგმვაში მონაწილეობა; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შემუშავებისა და ჩატარების განხორციელება, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში სხვა საკითხების გადაწყვეტა მათი კომპეტენციის ფარგლებში.

თავი III

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა დაგეგმვა

მუხლი 9. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა დაგეგმვა

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების დავალებები და ღონისძიებები გაითვალისწინება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში.

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების გეგმების პროექტები, რომლებსაც სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შემოუშავებენ, შეთანხმებული უნდა იქნეს სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოებთან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ძირითადი მოთხოვნები

იმ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს, რომლებსაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ცხოველთა ბინადრობის გარემოსა და ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდეგ ძირითად მოთხოვნათა შესრულება:

ცხოველთა სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება ბუნებრივი თავისუფლების პირობებში;

ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებისა და მიგრაციის გზების დაცვა;

ცხოველთა ბუნებრივი გაერთიანებების მთლიანობის შენარჩუნება;

ცხოველთა სამყაროს მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენება და მომრავლება;

ცხოველთა რიცხვის მოწესრიგება მოსახლეობის ჯანმთელობის დაცვისა და სახალხო მეურნეობისადმი ზარალის თავიდან აცილების მიზნით.

თავი IV

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მიერ ხელის შეწყობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

მუხლი 11. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მიერ ხელის შეწყობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებანი, მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებანი, სამეცნიერო საზოგადოებანი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში.

სახელმწიფო ორგანოები მოვალე არიან ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებები ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებისას.

მუხლი 12. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ღონისძიებებში საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობის წესი

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში მათი წესდებების (დებულებების), სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. საზოგადოებრივი ინსპექციები

ცხოველთა სამყაროს დაცვაში სახელმწიფო ორგანოებისათვის ხელის შესაწყობად შეიძლება შეიქმნას საზოგადოებრივი ინსპექციები.

საზოგადოებრივი ინსპექციების დებულებანი დამტკიცდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის წესი და ფორმები

მოქალაქეები ვალდებული არიან დაიცვან ცხოველთა სამყარო. ისინი სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში ხელს უწყობენ საჭირო სამუშაოებში უშუალო მონაწილეობით, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების გაუმჯობესების თაობაზე წინადადებების შეტანით, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის მათთვის ცნობილი დარღვევების შეტყობინებით.

კარი II.

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა

თავი V

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სახეობანი და პირობები

მუხლი 15. ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი

ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სსრ სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეები.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები და პირები.

მუხლი 16. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სახეობანი

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვისას შეიძლება განხორციელდეს ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის შემდეგი სახეობანი:

1) ნადირობა;

2) თევზჭერა, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების ჩათვლით;

3) იმ ცხოველთა მოპოვება, რომლებიც არ განეკუთვნებიან ნადირობისა და თევზჭერის ობიექტებს;

4) ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის;

5) ცხოველთა — ნიადაგწარმომქმნელთა, გარემოს ბუნებრივ სანიტართა, მცენარეების დამტვერავთა და სხვათა ცხოველქმედების სასარგებლო თვისებების გამოყენება;

6) ცხოველთა გამოყენება მათი ცხოველქმედების პროდუქტების მიღების მიზნით.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სხვა სახეობანი.

მუხლი 17. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის განხორციელების ვადები

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის ცალკეულ სახეობათა განხორციელების ვადები დგინდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 18. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უსახყოდლობა

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა ხორციელდება უფასოდ. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს ცხოველთა სამყაროთი ფასიანი სარგებლობის შემთხვევები და წესი.

თავი VI

ნადირობა

მუხლი 19. ნადირობის სახეობანი

ნადირ-ფრინველის სარეწაო მოპოვება, აგრეთვე სამოყვარულო და სპორტული ნადირობა ხორციელდება დადგენილი წესით.

სარეწაო ნადირობის უფლება აქვთ სამონადირეო მეურნეობათა მონადირეებს.

ნადირობისას აკრძალულია საყოველთაოდ საშიში სანადირო იარაღისა და ხერხების გამოყენება.

აკრძალული სანადირო იარაღისა და ხერხების ნუსხას ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 20. სამონადირეო მეურნეობის გაძღოლა

სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეიძლება მიეცეთ სამონადირეო სავარგულებში სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის უფლება. აღნიშნული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან განახორციელონ სამონადირეო მეურნეობის გასაძღოლად საჭირო სხვა ღონისძიებანი.

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც სამონადირეო მეურნეობას ძღვებიან, მათთვის განკუთვნილ სავარგულებში სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის წესებს დარღვევისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ სავარგულებში განსაზღვრული ან სამონადირეო სავარგულების ჩამორთმევის სახით.

მუხლი 21. სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის უფლების მიცემის წესი

სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის უფლება ეძლევათ სამონადირეო სავარგულების ბიოლოგიურ-ეკონომიკური გამოკვლევის საფუძველზე მათი შემდგომი მოწყობისა და სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციისათვის, მათში ცხოველთა დაცვის, მოშენებისა და მოპოვების ნორმირების ღონისძიებათა ჩასატარებლად.

მუხლი 22. იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლება-მოვალეობანი, რომლებიც უძღვებიან სამონადირეო მეურნეობას

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის უფლება აქვთ, შეუძლიათ მიწათმოსარგებლეებთან შეთანხმებით სამონადირეო სავარგულებში ააშენონ საჭირო ნაგებობანი, დათესონ საკვები და დამცავი მცენარეები და განახორციელონ სამონადირეო მეურნეობის გასაძღოლად საჭირო სხვა ღონისძიებანი.

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც სამონადირეო მეურნეობას ძღვებიან, მათთვის განკუთვნილ სავარგულებში სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის წესებს ან სამონადირეო სავარგულების ჩამორთმევის სახით.

მუხლი 23. ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის წესები

ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის წესები დგინდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თავი VII

თევზჭერა

მუხლი 24. თევზჭერის სახეობანი

სარეწაო თევზჭერა, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვება, აგრეთვე თევზის სპორტული და სამოყვარულო ჭერა და წყლის უხერხემლოთა მოპოვება ხორციელდება დადგენილი წესით.

მუხლი 25. სარეწაო თევზჭერა და წყლის სხვა ცხოველთა მოპოვება

სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეიძლება მიეცეთ სარეწაო თევზჭერისა და წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა რეწვის უფლება თევზის მეურნეობის წყალსატევების სარეწაო უბნებში. აღნიშნული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან განახორციელონ წყალსატევთა და ამ უბნებში თევზისა და წყლის უხერხემლოთა დაცვისა და მომრავლების ღონისძიებანი.

მუხლი 26. სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა

პირადი მოხმარებისათვის სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა, თევზჭერის დადგენილი წესების დაცვით, ნებადართულია ყველა მოქალაქისათვის უფასოდ, ყველა წყალსატევში, გარდა იმ წყალსატევებისა და წყალსატევთა უბნებისა, რომლებიც უჭირავს ნაკრძალებს, თევზის სანაშენეებს, გუბურებს და თევზის სხვა კულტურულ მეურნეობებს. აღნიშნული მიზნებისათვის თევზდაცვის ორგანოებს შეუძლიათ გამოყონ წყალსატევები ან მათი ცალკეული უბნები.

სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებისა და სხვა ნებაყოფლობით საზოგადოებათა კულტურულ თევზმეურნეობებში მოქალაქეთა მიერ ხორციელდება ამ საზოგადოებების მიერ გაცემული ნებართვით, უფასოდ ან ფასით.

მუხლი 27. თევზჭერის და წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების წესები

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების“ შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად თევზჭერის და წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების წესები დგინდება სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თავი VIII

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სხვა სახეობანი

მუხლი 28. იმ ცხოველთა მოპოვება, რომლებიც არ განეკუთვნებიან ნადირობისა და თევზჭერის ობიექტებს

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, აგრეთვე მოქალაქეებს ნება ეძლევათ მოიპოვონ ცხოველები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ნადირობისა და თევზჭერის ობიექტებს.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება იმ სახეობების ცხოველთა ნუსხა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ნადირობისა და თევზჭერის ობიექტებს და რომელთა მოპოვება ხორციელდება მხოლოდ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვით, აგრეთვე ისეთი სახეობების ცხოველთა ნუსხა, რომელთა მოპოვება აკრძალულია.

მუხლი 29. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის გარემოდან ცხოველთა გაუყვანლად

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის (დაკვირვების სხვადასხვა ფორმის, ნიშანდების, ფოტოგრაფირების მეშვეობით და ა. შ.) გარემოდან ცხოველთა გაუყვანლად დაშვებულია, თუ ეს ზიანს არ აყენებს ცხოველებს ან მათი ბინადრობის გარემოს და არ აღღვევს ცხოველთა სამყაროთი სხვა მოსარგებლეების უფლებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი სარგებლობა აკრძალულია.

მუხლი 30. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის გარემოდან ცხოველთა გაუყვანით

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის დაშვებულია გარემოდან ცხოველთა გაუვანთოაც „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონით, ამ კანონით და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 31. ცხოველთა ცხოველქმედების სასარგებლო თვისებების გამოყენება

ცხოველთა — ნიადაგწარმომქმნელთა, გარემოს ბუნებრივ სანიტართა, მცენარეების დამტვერავთა და სხვათა ცხოველქმედების სასარგებლო თვისებების გამოყენება დაშვებულია გარემოდან ცხოველთა გაუყვანლად, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც განისაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 32. ცხოველთა გამოყენება მათი ცხოველქმედების პროდუქტების მიღების მიზნით

ცხოველთა გამოყენება მათი ცხოველქმედების პროდუქტების (ველური ფუტკრის თაფლის, ცვილისა და ა. შ.) მიღების მიზნით დაშვებულია მხოლოდ გარემოდან ცხოველთა გაუყვანლად და გაუნადგურებლად და მათი ბინადრობის გარემოს დაურღვევლად.

ცხოველთა ცხოველქმედების პროდუქტების მიღების მიზნით მათი გამოყენების წესებს განსაზღვრავენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების რეგულირების სახელმწიფო ორგანოები.

თავი IX

ცხოველთა რიცხვის მოწესრიგება

მუხლი 33. ცხოველთა რიცხვის მოწესრიგების ღონისძიებანი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებებისა და სახალხო მეურნეობისადმი ზარალის თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება ღონისძიებანი ცალკეულ სახეობათა გარეული ცხოველების რიცხვის მოსაწესრიგებლად.

ცალკეულ სახეობათა ცხოველების რიცხვის მოწესრიგების ღონისძიებანი უნდა ხორციელდებოდეს ჰუმანური ხერხებით, რომლებიც გამორიცხავენ სხვა სახეობის ცხოველებისათვის ზიანის მიყენებას და უზრუნველყოფენ ცხოველთა ბინადრობის გარემოს შენარჩუნებას.

მუხლი 34. ცხოველთა რიცხვის მოწესრიგების ღონისძიებათა განხორციელების წესი

იმ ცხოველთა სახეობებს, რომელთა რიცხვიც ექვემდებარება მოწესრიგებას, და მათი რიცხვის მოწესრიგების ღონისძიებათა ჩატარების წესს განსაზღვრავენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები.

მუხლი 35. ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

მუხლი 35. ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეთა უფლებანი

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ განახორციელონ ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის მხოლოდ ის სახეობანი, რომლებიც ნებადართული აქვთ.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის, აგრეთვე ცხოველთა სამყაროთი სხვა მოსარგებლეთა ინტერესებისათვის.

მუხლი 36. ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეთა მოვალეობანი

სარგებლობის სახეობისდამიხედვით ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი მოვალენი არიან:

დაიცვან ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და ვადები;

ისარგებლონ ცხოველთა სამყაროთი იმ ხერხებით, რომლებიც არ არღვევენ ბუნებრივ გაერთიანებათა მთლიანობას და უზრუნველყოფენ სარგებლობაში გადაუცემელი ცხოველების შენარჩუნებას;

არ დაუშვან ცხოველთა ბინადრობის გარემოს დარღვევა;

აწარმოონ გამოყენებული ცხოველების რიცხვისა და მდგომარეობის, აგრეთვე მათი ბინადრობის გარემოს მდგომარეობის აღრიცხვა;

განახორციელონ ცხოველთა სამყაროს კვლევწარმოებისათვის საჭირო კომპლექსური ღონისძიებანი.

ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სახელმწიფო და სხვა ორგანებს, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი;

ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი მოვალენი არიან შეასრულონ აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვის, კვლევწარმოების და გამოყენების სხვა მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მუხლი 37. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლება უნდა შეწყდეს მთლიანად ან ნაწილობრივ იმ შემთხვევებში, თუ:

1) საჭირო აღარ არის სარგებლობა ან უარი თქვეს მასზე;

2) გავიდა სარგებლობის დადგენილი ვადა;

3) წარმოიშვა სარგებლობიდან ცხოველთა სამყაროს ობიექტების ამოღების საჭიროება ცხოველთა სამყაროს დაცვის მიზნით;

4) მოხდა იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაცია, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ სარგებლობის უფლება.

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე არ ასრულებს ცხოველთა სამყაროს დაცვის და გამოყენების დადგენილ წესებს, ნორმებსა და სხვა მოთხოვნებს.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 38. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი, მე-3, მე-4 პუნქტებით და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლებას წყვეტენ შესაბამისი ორგანოები მათ მიერ გაცემული ნებართვების გაუქმების გზით.

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტა ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეს არ ათავისუფლებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დადგენილი წესების, ნორმებისა და სხვა მრთხოვნების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობისაგან.

კარი III.

ცხოველთა სამყაროს დაცვა

თავი XI

ცხოველთა სამყაროს დაცვის ღონისძიებანი

მუხლი 39. ცხოველთა სამყაროს დაცვის უზრუნველყოფა

ცხოველთა სამყაროს დაცვას უზრუნველყოფენ იმ გზით, რომ:

1) ადგენენ ცხოველთა სამყაროს დაცვის, რაციონალური გამოყენებისა და კვლევწარმოების წესებსა და ნორმებს;

2) აწესებენ ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის აკრძალვასა და შეზღუდვას;

3) იცავენ თვითნებური სარგებლობისაგან და ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის დადგენილი წესის სხვა დარღვევებისაგან;

4) იცავენ ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ

(დასასრული).

საბალახო და გადასარეკი ადგილების განსაზღვრის, ტურისტული მარშრუტების შემუშავებისა და მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილების მოწყობის დროს გთვალისწინებულ უნდა იქნეს და განხორციელდეს ღონისძიებანი ცხოველთა ბინადრობის გარემოსა და გამრავლების პირობების შესანარჩუნებლად, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს იმ უბნების ხელშეუხებლობა, რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებულ ღირებულებას როგორც ცხოველთა ბინადრობის გარემო.

მუხლი 44. ცხოველთა მიგრაციის გზების შენარჩუნების უზრუნველყოფა

რკინიგზის, გზატკეცილების, მილსადენი და სხვა სატრანსპორტო მაგისტრალების, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების, აგრეთვე არხების, კაშხალებისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა განლაგების, დაპროექტებისა და მშენებლობის დროს უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ცხოველთა მიგრაციის გზების შენარჩუნებას.

მუხლი 45. იმ საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა ობიექტთა მშენებლობის, ადგილის შეთანხმება, რომლებიც გავლენას ახდენენ ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე.

იმ საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა ობიექტთა მშენებლობის ადგილი, რომლებიც გავლენას ახდენენ ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებისა და მიგრაციის გზების დარღვევის შედეგად, უნდა შეუთანხმონ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მოწესრიგების 1რეგულირების სახელმწიფო ორგანოებს და სხვა ორგანოებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XIII

ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილება საწარმოო პროცესთა განხორციელებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის დროს

მუხლი 46. ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილება საწარმოო პროცესების განხორციელებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის დროს

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები ვალდებული არიან განახორციელონ ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილების ღონისძიებნი სასოფლო-სამეურნეო, ხე-ტყის დამამზადებელი და სხვა სამუშაოების შესრულების, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის დროს.

გამხმარი მცენარეულობის დაწვა, მასალების, ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების შენახვა ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილების დადგენილ ღონისძიებათა განუხორციელებლად აკრძალულია.

თავი XIV

ცხოველთა დაცვა ნაკრძალებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე

მუხლი 47. ცხოველთა დაცვა ნაკრძალებში, აღკვეთილებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე

აკრძალულია ნაკრძალთა ტერიტორიაზე ნადირობა, თევზჭერა, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვება, აგრეთვე ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სხვადასხვა სახეობანი და მენაკრძალეობის მიზნებთან შეუთავსებელი სხვა საქმიანობა.

აღკვეთილებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე შეიძლება მთლიანად აიკრძალოს ან შეიზღუდოს ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის ცალკეული სახეობანი და სხვა საქმიანობა, რომელიც შეუთავსებელია ცხოველთა სამყაროს დაცვის მიზნებთან.

მუხლი 48. ნაკრძალებში, აღკვეთილებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და სარგებლობის განხორციელების წესი

ნაკრძალებში, აღკვეთილებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და სარგებლობის განხორციელების წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

თავი XV

იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ სახეობათა ცხოველების დაცვა

მუხლი 49. სსრ კავშირის წითელს წიგნი და საქართველოს სსრ წითელი წიგნი

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად იშვიათი და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა სახეობები შეიტანება სსრ კავშირის იშვიათ და გადაშენების პირას მისული ცხოველებისა და მცენარეების სახეობათა წიგნში — სსრ კავშირის წითელ წიგნსა და საქართველოს სსრ წითელ წიგნში. დებულება სსრ კავშირის წითელი წიგნის შესახებ მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით, ხოლო დებულება საქართველოს სსრ წითელი წიგნის შესახებ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 50. იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა დაცვა

მოქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს იშვიათი და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა სახეობების დაღუპვა, რიცხვის შემცირება ან ბინადრობის გარემოს დარღვევა, არ დაიშვება.

იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა სახეობათა შენარჩუნების მიზნით, რომელთა მომრავლება ბუნებრივ პირობებში შეუძლებელია, სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან მიიღონ საჭირო ზომები ამ სახეობების ცხოველთა მოშენებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად.

მუხლი 51. იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა სახეობების მოპოვების წესი

იშვიათი და გადაშენების პირას მისული ცხოველთა სახეობების მოპოვება სპეციალურად შექმნილ პირობებში მოსაშენებლად და შემდეგ ბუნებრივ გარემოში გასაშვებად, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი და სხვა მიზნებისათვის დაიშვება განსაკუთრებული ნებართვით, რომელსაც გასცემენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები.

თავი XVI

ზოოლოგიური კოლექციები

მუხლი 52. ზოოლოგიური კოლექციების შექმნა და შევსება

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმებისა და სხვათა ცოცხალი კოლექციების, აგრეთვე ცხოველთა ფიტულების, პრეპარატებისა და ნაწილების კოლექციის სახით) შექმნა და შევსება სპეციალურად ამ მიზნისათვის გარემოდან ცხოველთა ამოღების გზით დაიშვება ნებართვით, რომელსაც გასცემენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები.

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული ზოოლოგიური კოლექციების შევსება და მოქალაქეთა მიერ ახალი კოლექციების შექმნა აკრძალულია, გარდა იმ კოლექციებისა, რომლებშიც შედის ნახადირევის, თევზჭერისა და ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სხვა სახეობების ნადავლი, რაც ხორციელდება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 53. ზოოლოგიური კოლექციების სახელმწიფო აღრიცხვა

ზოოლოგიური კოლექციები, რომლებსაც მეცნიერული, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო-აღმზრდელობითი ან ესთეტიკური ღირებულება აქვს, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას. ასეთი კოლექციების მფლობელი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები მოვალენი არიან დაიცვან ცხოველთა სამყაროს ობიექტების კოლექციათა შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების წესები.

მუხლი 54. ზოოლოგიური კოლექციების შექმნის, შევსების, შენახვის, გამოყენების და აღრიცხვის წესები

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონს შესაბამისად ზოოლოგიური კოლექციების შექმნის, შევსების, შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვის წესები, ზოოლოგიური კოლექციებით ვაჭრობის წესები, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს კოლექციათა ობიექტებისა და პროდუქტების საზღვარგარეთ გადაგზავნისა და გატანის წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თავი XVII

ცხოველთა დაცვა მეცნარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა პრეპარატების გამოყენებისას

მუხლი 55. ცხოველთა დაცვა მეცნარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სხვა პრეპარატების გამოყენებისას

მეცნარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებელი სხვა პრეპარატების ხმარებისას გთვალისწინებულ უნდა იქნეს ცხოველთა სამყაროსა და მათი ბინადრობის გარემოს დაცვის მოთხოვნები. მეცნარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და სხვა პრეპარატების გამოყენება ცხოველთა სამყაროზე მათი გავლენის შემცირების მიზნით შეხამებული უნდა იყოს აგროტექნიკური, სასელექციო-გენეტიკური, ბიოლოგიური და სხვა ღონისძიებების განხორციელებასთან.

ცხოველთა დაღუპვისა და მათი ბინადრობის გარემოს გაუარესების თავიდან აცილების მიზნით კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სატყეო მეურნეობები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები მოვალენი არიან შეასრულონ აღნიშნული პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესები, ახალი პრეპარატების შექმნისას უნდა შემუშავდეს გარემო ბუნებაში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა და მათი ბინადრობის გარემოს დაცვას.

მუხლი 56. მეცნარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა პრეპარატების ხმარების წესების შეთანხმება

მეცნარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებელი სხვა პრეპარატების ხმარების წესები, აგრეთვე აღნიშნული პრეპარატების ნუსხა შეთანხმებული უნდა იქნეს სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოებთან.

თავი XVIII

ცხოველთა გადასახლება, აკლიმატიზაცია და შეჯვარება

მუხლი 57. ცხოველთა გადასახლება, აკლიმატიზაცია და შეჯვარება

ცხოველთა გადასახლება ბინადრობის ახალ ადგილებში, სსრ კავშირის ფაუნისათვის ახალ სახეობათა ცხოველების აკლიმატიზაცია, აგრეთვე ცხოველთა შეჯვარების ღონისძიებანი დაიშვება სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო მიზნებისათვის შესაბამის სამეცნიერო ორგანიზაციათა დასკვნების გათვალისწინებით სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებით.

ცხოველთა თვითნებური გადასახლება, აკლიმატიზაცია და შეჯვარება აკრძალულია.

თავი XIX

ბუნებრივი ობიექტებით მოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვა და მათთვის მოვალეობათა დაკისრება ცხოველთა სამყაროს დაცვის ინტერესებისათვის

მუხლი 58. ბუნებრივი ობიექტებით მოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვა და მათთვის მოვალეობათა დაკისრება ცხოველთა სამყაროს დაცვის ინტერესებისათვის

ცხოველთა სამყაროს დაცვის ინტერესებისათვის მიწათმოსარგებლეთა, ტყითმოსარგებლეთა, წყალმოსარგებლეთა და წიაღით მოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს და მათ შეიძლება დაეკისროთ შესაბამისი მოვალეობანი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კარი IV.

ცხოველთა სახელმწიფო აღრიცხვა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი

მუხლი 59. ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად წარმოებს ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი, რომელიც შეიცავს ცხოველთა სახეობების (სახეობათა ჯგუფების) გეოგრაფიული გავრცელების, მათი რიცხვის ამსახველი ცნობების ერთობლიობას, მათთვის საჭირო აგარების დახასიათებას, ცხოველთა თანამედროვე სამეურნეო გამოყენების დახასიათებას და სხვა საჭირო მონაცემებს.

მუხლი 60. ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესი

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოება ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემის მიხედვით.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან მათ განკარგულებაში არსებული ცნობები გარეულ ცხოველთა გავრცელების, რიცხვისა და გამოყენების შესახებ წარუდგინონ ორგანოებს, რომლებიც აწარმოებენ ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრს.

ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოების, იმ სახეობათა ცხოველების (სახეობათა ჯგუფების) ნუსხის განსაზღვრის წესები, რომლებიც სახელმწიფო აღრიცხვას და სახელმწიფო კადასტრში შეტანას ექვემდებარებიან, აგრეთვე აღრიცხვისა და კადასტრის წარმოებისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

კარი V.

კონტროლი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი

მუხლი 61. სახელმწიფო კონტროლი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, აგრეთვე მოქალაქის მიერ ცხოველთა სამყაროს დაცვის მოვალეობათა შესრულება. ცხოველთა სამყაროს სარგებლობის დადგენილი წესისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების დაცვა.

მუხლი 62. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმაკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 63. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება

სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები ამოწმებენ:

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების წესების, ნორმების, ვადების და სხვა მოთხოვნების დაცვას;

ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოების დადგენილი წესის დაცვას;

ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებისა და მიგრაციის გზების დაცვის წესებსა, ნორმებსა და სხვა მოთხოვნებს, სანამ არ აღმოიფხვრება ეს დარღვევები;

დადგენილი წესით მისცენ პასუხისგებაში ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების წესების, ნორმების, ვადებისა და სხვა მოთხოვნების დამრღვევნი ან გადაუგზავნონ მასალები სამართალდარღვევების შესახებ შესაბამის ორგანოებს.

სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოს წესებისა და ინსტრუქციების შესრულებისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, უთუოდ უნდა შეასრულოს ყველა სამინისტრომ, სახელმწიფო კომიტეტმა და უწყებამ, საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, აგრეთვე მოქალაქემ.

მუხლი 66. საუწყებო კონტროლი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი საუწყებო კონტროლს ახორციელებენ ორგანოები, რომელთა გამგებლობაში არიან ცხოველთა სამყაროს ობიექტებთან მოსარგებლე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

საუწყებო კონტროლის განხორციელებისას სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, იმ წესებითა და ინსტრუქციებით, რომლებსაც ამტკიცებენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები.

კარი VI.

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის საკითხთა გამო დავის გადაწყვეტა

მუხლი 67. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის საკითხთა გამო დავის გადაწყვეტის წესი

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის დავა ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის საკითხებზე წყდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კარი VII.

პასუხისმგებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 68. ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო საკუთრების უფლების დამრღვევ გარიგებათა ბათილობა

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების თვითნებური დათმობა, აგრეთვე სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარა ან ფარული ფორმით არღვევენ ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

მუხლი 69. პასუხისმგებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების კანონმდებლობის დარღვევისათვის

პირებს, რომლებსაც ბრალი მიეძღვით ამ კანონის 68-ე მუხლში აღნიშნულ გარიგებათა დადებაში, აგრეთვე იმაში, რომ:

თვითნებურად ისარგებლეს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით;

დაარღვიეს ნადირობის, თევზჭერისა და ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სხვა სახეობათა წესები;

დაარღვიეს ცხოველთა ბინადრობის გარემოსა და მიგრაციის გზების დაცვის წესები;

თვითნებურად მოახდინეს ცხოველთა გადასახლება, აკლიმატიზაცია და შეჯვარება;

დაარღვიეს მეცნარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სხვა პრეპარატების გამოყენების წესები, რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს;

დაარღვიეს ცხოველთა სამყაროს ობიექტებისა და ზოოლოგიური კოლექციების საზღვარგარეთ გადაგზავნისა და გატანის წესები;

დაარღვიეს იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა დაცვის წესები.

ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სხვაგვარი პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

კარი VIII.

საერთაშორისო ხელშეკრულებანი

მუხლი 72. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

ასეთივე წესი გამოიყენება ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის მიმართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.

1981 წლის 19 ივნისი.

ახალი ჯანმრთელობის კერა



ლაშვარდოვანი ყურის ნაპირზე აღიმართა სოხუმის კიდევ ერთი „ცათამჯენი“ — 14-სართულიანი სანატორიუმის კორპუსი სამხედრო მოსამსახურეებისათვის.

ახალი ჯანმრთელობის კერა აშენდა საქართველოს სამთო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის არქიტექტორის ა. კვიტატიანის პროექტით. აქ 252 კაცისათვის შექმნილია დასვენების ყველა პირობა. სანატორიუმს აქვს ფართო ჰოლები, დასასვენებელი ოთახები, ხოლო ბოლო სართულზე მოწყობილია სოლარიუმი.

ახლაც კორპუსმა მიიღო პირველი დამსვენებლები. მათ შორის ბევრია ბავშვებიანი ოჯახი.

სურათზე: ახალი ჯანმრთელობის კერა სოხუმში.

ციურიხში გადაწყდება

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ა. ჭკუასელმა გვაცნობა, რომ 7 ივლისს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გაიმართება მოლაპარაკება თბილისის „დინამოსა“ და „ლიეგერპულის“ ფეხბურთელთა გუდების სუპერთასზე შეხვედრის შესახებ. სწორედ იქ გადაწყდება, რამდენი მატჩი გაიმართება სუპერთასისათვის ორი (შინ და სტუმრად), თუ ერთი (ნეიტრალურ მოედანზე). ამავე მოლაპარაკებაზე დადგინდება შეხვედრათა თარიღები. არც ის არის გამორიცხული, რომ მხარეები ვეღარ შეთახხმდნენ, და მაშინ ულევახდელი სეზონის სუპერთასი არ გათამამდება. ყველა ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ციურიხს გაემგზავრება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი **კახი ასათიანი.**

საფეხბურთო პალეიდოსკოპი

● **მეორე** მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისის საფეხბურთო ლიგებში ათასამდე მწვრთნელი დათხოვეს თანამდებობიდან. მაგრამ არის ერთი ადამიანი, რომელსაც თავისი კოლეგების ბედი არასოდეს გაუზიარებია. ეს გახლავთ თბილისელების ძველი ნაცნობი, „ლიეგერპულის“ მწვრთნელი ბობ პეისლი. ფეხბურთელის კარიერის დამთავრებისთანავე, 1954 წელს პეისლი ბილ შენკლის ახალტენტი გახდა მუშობლიურ კლუბში. მან, შენკლის ზურგსამფარებულმა, 20 წელიწადს იმუშავა, ხოლო 1974 წელს, შენკლის გადადგომის შემდეგ, მისი პოსტი დაიკავა. პეისლიმ თავის წინამორბედს გადაეჭარბა კიდეც — მისი ხელმძღვანელობით „ლიეგერპულმა“ სამჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. მართლაც დასაფასებელია ამ კაცის ერთგულება „ლიეგერპულისადმი“. იგი 62 წლისაა და უკვე 42 წელია, რაც ამ კლუბს ემსახურება.

● **ბელგიის** ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა მკაცრად დასჯოს ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნული პირველობის მატჩებში უვითელ ბარათს „დაიმსახურებენ“ (მინდვრიდან გაძევებული მოთამაშეები ხომ ისედაც მკაცრად ისჯებიან). განსახილველად წარმოადგინეს ერთი ასეთი წინადადება: ყოველი მოთამაშე, რომელიც გაფრთხილებას მიიღებს, მაშინვე უნდა შეიცვალოს განაცხადში შეტანილი სხვა მოთამაშით, ამასთან, შეცვლათა ლიმიტი (2) უცვლელი უნდა დარჩეს. ასე რომ, მესამე გაფრთხილებისთანავე გუნდს 10 მოთამაშით მოუწევს თამაშის გაგრძელება. ზოგიერთის აზრით, სწორედ დასჯის ასეთი უშუალო და არა მოგვიანებითი სანქციებია უხეშობასთან ბრძოლის ერთადერთი ეფექტიანი გზა. მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ თუ ეს პროექტი დამტკიცდა, მსაჯებიც უფრო იშვიათად იხმარენ ყვითელ ბარათს და ამან შეიძლება უარყოფითადაც კი იმოქმედოს ისედაც არასახარბიელო ტენდენციებზე.

„მხიარული დელფინი“

შვიდიდან თორმეტ წლამდე ასაკის ასი თბილისელი მოსწავლე დაეპატრონა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკს „მხიარულ დელფინს“. ყოველდღიურად დილის 9 საათზე მხიარული ყიჟინით მოდიან ისინი თბილისის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსში, სადაც მათ სპორტული მგზნებარებითა და კარგი განწყობილებით აღსავსე დღე მოელით.

ბანაკის მოწყობის ინიციატორები იყვნენ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი და კომპლექსის დირექცია. პროგრამა ითვალისწინებს გამამხნევებელ ვარჯიშს, წვრთნას, სპორტის ვეტერანებთან შეხვედრას, სპორტული ფილმების ჩვენებას, ექსკურსიებს ქალაქში და სხვა. არ დავიწყებიათ თვითმოქმედებაც: ბავშვები ამზადებენ საკონცერტო პროგრამას, რომლითაც წარდგებიან მაყურებლის წინაშე. ახლა ორგანიზებულად მიმდინარეობს საბანაკო სპარტაკიადა, რომელიც გამოავლენს უძლიერეს მოჭიდრაკეებს, მოშაშვებს, მძლეოსნებს, მოცურავეებს.

— სამი ათასზე მეტმა ბავშვმა გამოთქვა სურვილი მოსულიყო ჩვენს ბანაკში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის დირექტორმა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ გოიაშვილმა. — მოვაწყვეთ კონკურსი. ორმოცდაათი საუკეთესო ბავშვი ჩავრიცხეთ ბანაკში. დანარჩენებმა ბანაკის საგზური მიიღეს კარგი სწავლისა და ყოფაქცევისათვის. ბავშვები დაისვენებენ, ჩვენ კი საშუალება მოგვეცა შევარჩიოთ ცერსპექტიული მოზარდები.

კომპლექსს არსებობის სამ წელზე ნაკლები ბიოგრაფია აქვს. მოკლე ხნის განმავლობაში ეს უნიკალური სპორტული ნაგებობა არა მარტო დიდი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების მოწყობის, არამედ აქტიური დასვენების ადგილიც გახდა, ერთნი აქ სპორტში პირველ ნაბიჯებს დგამენ, მეორენი ჯანმრთელობას იკაჟებენ. ყოველდღე საწყლოსნო-სპორტულ კომპლექსში ათას ხუთასამდე კაცი მოდის.

მარტო შარშან სააბონემენტო ჯგუფებში ცურვის კურსი გაიარა ათი ათასამდე კაცმა. ჩვენმა კოლექტივმა ამოცანად დაისახა: ახალბედებს ასწავლოს არა მარტო წყლის ზედაპირზე ტივტივი, არამედ კარგი ცურვაც.

სატურნირო ორბიტა

ცურვა. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ინეს გაისლერმა ბერლინში გამართულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონატში 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა — 2 წუთი და 8,97 წამი.

ვოლეიბოლი. კოლორადოს შტატში („აშშ“) გრძელდება „ეურო ინტერნეშნლ ბაისიკლ კლესიკად“ წოდებული მრავალდღიანი ველოსიპედი. ხუთი ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები, პირად ჩათვლაში კი ამერიკელი გრეგ ლემანი. როსტოველი იური კაშირინი მეხუთე ადგილზეა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

3 ივლისი

პირველი პროგრამაზეა: 09.00 — „ვარსკვლავი“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოკამეა“, 10.35 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ჭიდაობას რა უნდა“, „ნახტომი“, 11.35 — კ. გამსახურდია. „ვაშის ყვავილობა“ — მრავალსერიანი საგელევიზიო ვიდეოფილმი. მეოთხე სერია. საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 17.00—ტულგანელიანაციური ფილმები: „მეგობელ ჩიჩორი“, „ეპეელა“, 17.25 —განცხადებები, 17.30—„ბუდან მწყობრში“, 17.50 — მოსწავლეთათვის — „ცვლა“, 18.25 — „ახალგაზრდების ხელოვნება“ — მღერის მაია კანკია, 19.00 — კინონარკვევი. 19.10 — „ვერნისაჟი“ — ქართული საბჭოთა ფერწერის ოსტატი ალექსანდრე ციმაკურიძე, 19.45 — „დღეს მოელიოთ“ (მ.), 20.00 — „მოამბე“. 20.30 — კ. გამსახურდია. „ვაშის ყვავილობა“ — მრავალსერიიანი საგელევიზიო ვიდეოფილმი. მეხუთე სერია. პრემიერა. (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოებნი), 21.45—საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების პირველი სუნთქვა“ 22.00 — „ვარსკვლავი“ (მ.), 22.35 — საქართველოს ფეხბურთი მოსკოვში, 23.25 — „მოამბე“, 23.40 — „ეს ესტრადაა“.

მეორე პროგრამაზეა: 18.10 —საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არაჩვეულებრივი ფაბრიკა“, 18.20 — განცხადებები, 18.25 — მხატვრული ფილმი „როდესაც ბოლოანთ ბავშვები“.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

ლენინის ქ. 14.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, 380096

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 99-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—99-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 99-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 99-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, საბილოგრაფიული ინფორმაციის — 99-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 99-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 99-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

**მოსკოვი — 481-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი —